№ 8 ყოველდღიური გაზეთი

ჩვენი ცხოვრება

წელიწადი 1. სამშაბათი 10 ივლისი, 1912

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი იმისა, რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 3 მ., 3 საათს შემდეგ 4 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება. ამათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

ფართლეულოჯის მაღაზია

სავაჭრო სახლი ა. მ. ვართანოვი და ამხ.

ვორონცოვის ქუჩა სახლი ჭიჭინაძისა.

იშოვება დიდი ძალი ახალი მოდის ფართლეულობა. ფასები ძლიერ ზომიერია და უვაჭროთ შაბათობით ნაჭრების იაფი გაყიდვა.

ამ წლის პირველი ივლისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

„ჩვენი ცხოვრება“

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარის წლით—4 მ., სამი თვით—2 მ. ₾ 50 კ. თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ 14 მან. განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან. რედაქტორ-გამომცემელი ა. სულაქველიძე.

ფულის გამოსაგზანი ადრესი: Кутаисъ, Юстину Гавріил. Баланчивадзе.

ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი, № 6.

ქალაღდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფლ-მბეჭდავი

გ. ლ. კვერღელიძისა ₾ დ. ვ. რამიშვილისა

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. სიახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტებზე: აფთიაქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულობისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზედ კეთილ-სინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ვო-ველ ვო-ნკურენციის გარეშეა.

დებეშის ადრესი: Фабрика Квергелидзе и Рамишвили.

მ—8—1

უუშსუნა „ჩვენი გემო“ კვასი.

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ „ჩვენი გემო“ და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადუღი წყლიდან დამზადებული ჰურის კვასი, მოითხოვონ ყველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით **მათე გორგილაძე** და **ამხანაგობა**.

მისამართი: სუდებნი ქუჩა, სახლი № 6. 20—8—1

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გაზეთი

წელიწადი მეორე „თემი“ წელიწადი მეორე

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—1 მ. 25 კაპ. ერთი თვით—25 კაპ. რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая 6, редакція газеты „ТЕМИ“. რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე

განცხადებანი

თბილისის ხელისმოწერთა საყურადღებოთ.

თბილისში გაზ. „ჩვენ ცხოვრებაზე“ ხელის მოწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: 1) პირველ საპოლიციო უბანში ვერაზე, ბელინის ქუჩა № 13, კვასი „გემოს“ ქარხანა; მოსე ფირცხალაშვილთან. 2) ერევნის მოედანთან, სომხის ბაზრისა და პუშკინის ქ. კუთხე № 1; ვასილ ხუცავას მაღაზიაში. 3) ავლაბარში: მე 7-დე საპოლ. უბ., კახეთის ქ. № 7, ავტომობილის იადგური (თბილ.-სიგნახ.) ავთანდილ გულევთან. 4) ნაძალადევში (ნახალოვკა) მომხმარებელი საზოგადოება „მომავალის“ მაღაზიაში.

Курсистка Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметам, (долголѣтняя практика) спеціальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

ექიმი მ. მგალობლიშვილი იღებს ბავშთა, შინაგან და საბებიო სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. საღ. 5—7.

გაგარინის ქ. № 5, პოლიცმეისტრის კანცელარიის გვერდზე. 5—თ.

თფილისი, ნაძალადევი.

ექიმი კბილისა

ა. (გ) ბ. დოლიძე გადავიდა **ნაძალადევში** რკ. გზ. ხიდის ახლოს ჩერქეზოვის ქუჩაზე № 145, ბ. დვალიძის სახლში. **სწავლობს კბილისა, ღრძილისა და პირის ავათმყოფობას**, აგრეთვე აკეთებს პლომბებს, სწმენდს და აცილებს კბილის ქვას, იღებს უვარგისს კბილებსა და ფესვებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს. დილის 8—2 ს-მდი და საღ. 5—7 საათ.

ექიმი ირ. ცეხანოვსკი ღებულობს შინაგან, საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე.

ადრესი: კარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

ჭიათურაში

ჟურნალ-გაზეთების აგენტთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ. **„ჩვენი ცხოვრება“**-ზე. მიიღება აგრეთვე ყოველგვარი განცხადებები, იმავე გაზეთში მოსათავსებლათ. ამასთანავე ზოგიერთ აქაურ მკითხველთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ დროზე გაგვისწორონ მათზე დარჩენილი ანგარიში; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოვაქვეყნოთ და თუ ამ საშუალებამაც არ გასჭრა, მაშინ მათთვის უფრო შესაფერ სასტიკ ზომასაც მივმართავთ.

გაზ. ბიუროს აგენტი ჭიათურაში.

საჭირო სიჩქარე.

თანახმათ 3 ივნისის კანონისა, სახ. დუმის ამრჩეველთა ზოგიერთ კატეგორიამ თითონ უნდა განაცხადოს სურვილი არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მას სიაში არ შეიტანენ, რის გამო, ცხადია, ვერც საარჩევნო ხმის უფლებით ისარგებლებს. ესენი არიან ქალაქის მეორე კურიის ამრჩევლები: ბინის დამქირავებელნი, პენსიონერები და ისინი, ვინც ბინის გადასახადს არ იხდიან. გაზეთების ცნობებით, ასეთი განაცხადებები, სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით, ძალიან ცოტა შედის, სადაც ჯერ არს არჩევნებისადმი ასეთ გულგრილობას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს და ფსიხოლოგიურათ ადვილი გასაგებია. ასეთ გულ-გრილობას ქმნის ერთი მხრით მესამე დუმის მიერ გაცრუებული იმედები, მეორე მხრით ის პირობები, რომელშიდაც არჩევნები ხდება. აკრძალვა-შევიწროება ყოველგვარი კრებების, დევნა-სასჯელი პრესისა, ხელოვნური შემცირება ამრჩევლთა ისედაც მცირე რიცხვისა, შექმნა ფიქტიური ცენზებისა, თავიდან მოშორება პოპულიარული კანდიდატებისა და სხვა, და სხვა-ყოველივე ეს ბადებს და ავითარებს ამრჩევლებში იმ რწმენას, რომ, რაც არ უნდა ქნას მან, სულ ერთია, მის ხმას მაინც არავინ გაიგონებს და არჩევნების ბედის გადაჭრაში მაინც არ ექნება არავითარი პრაქტიკული შედეგი.

ასეთი შეხედულება ადვილი გასაგებია ფსიხოლოგიურათ, მარა შეუწყნარებელი-საზოგადოებრივი თვალსაზრისით. არჩევნების მნიშვნელობა მარტო დეპუტატთა რიცხვით როდი განისაზღვრება. არჩევნები, რა პირობებშიაც უნდა ხთებოდეს, მაინც დიდ მნიშვნელოვანი მომენტია მასის პოლიტიკურ აღზდის საქმეში.

მარა ასეთი პოლიტიკური აღზდის მნიშვნელობა არჩევნებს მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში ექნება; ასეთი პირობები კი ჩვენში არ არსებობს. რომ ამრჩეველს თავი სიაში ჩააწერიო, ამისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა თავისუფალი კრებები, სადაც განუმარტავენ მას მიზანს და მნიშვნელობას ამ პოლიტიკური აქტისას. კრებების ასეთი უფლება კი მხოლოდ მემარჯვნეების მონოპოლიათ გახდა. მემარჯვნეებისათვის კი ხალხის ფართე მასა სრულიად ზედმეტია. ისინი უმისოთაც იოლათ გავლენ. ამის თავდებია 3 ივნისის კანონი.

მაგრამ, რამდენათ ძნელი და მძიმეა მდგომარეობა, იმდენათ მეტია ამრჩევთა მოვალეობა. შავი ძალები ყოველივე ღონეს იღებენ, რომ თავრიდის სასახლე დეპარტამენტის განყოფილებათ აქციონ. შეგნებული მოქალაქის ვალია—ეს არ დაუშვას. ამისთვის საჭიროა მიიღოს ყოველივე ზომები არჩევნებისადმი გულგრილობის გასაფანტათ. ჩვენ გვჯერა, რომ ამრჩევთა შორის ასეთი ენერგია საკმაოთ მოიპოვება; საჭიროა მისი რეალიზაცია.

ვადა სიაში ჩაწერისა უკვე თავდება. საჭიროა სიჩქარე, რომ ვადა არ გაუშვათ და სიაში შეუტანელი არ დარჩეს არც ერთი ხმა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ **გამოქვეყნების შემდეგ სიაში ჩაწერა შეუძლებელია**. ამიტომ ყველა ბინის დამქირავებნი, პენსიონერები, და ისინი ვინც ბინის გადასახადს არ იხდიან, მოვალენი არიან დაუყონებლივ მიიღონ საჭირო ზომები—საარჩევნო სიის გარეთ არ დარჩენ.

ახალი ამბები.

✦ კვირას, 8 ივლისს ქალაქის ბაღში დანიშნული სახალხო სეირნობა გადაიდო მომავალ კვირისათვის.

✦ დღეს **იაკობ გოგებაშვილის** პატივსაცემათ გაიმართება ქალაქის თეატრში სალიტერატურო საღამო.

✦ თფილისიდან ჩამოვიდა რამოდენიმე ინტელიგენტი და გუშინ გაემგზავრა რაჭაში რაჭის წყლებისა და საავარაკო ადგილების დასათვალიერებლათ.

✦ ქუთაისის გუბერნატორი **ბ. სლავინჩინსკი** უკვე დაბრუნდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის რუსული ენის მასწავლებელი ბ-ი **იურკევსკი** ქუთაისიდან გადაიყვანეს.

✦ საზოგადო სასწორზე მომუშავე კომისიამ დაიჭირა რამოდენიმე პირი, რომელნიც პარკს თავის სასწორებზე წონიდენ, და არა საზოგადო სასწორზე. სასწორებთან ერთად დაჭერილი პირები კომისიის წევრებმა პოლიციაში გაგზავნა.

✦ გუშინ ქუთაისის ციხიდან ეტაპით რუსეთში გააგზავნეს **ზაქარია გურული**.

✦ ამ დღეებში ქუთაისში განახლდება გამოცემა დროებით შეჩერებული ჟურნალის „კოოპერაციის“.

✦ კვირას 8 ივლისს მიწას მიაბარეს ქუთაისის შეძლებული მოქალაქე ივანე ზურაბის ძე გველესიანი. გველესიანის დაკრძალვას დიდ ძალი ხალხი დაესწრო.

✦ პარკის შემოსვლა ქუთაისის ბაზარზე შეწყდა.

✦ იმ პირთ, რომლებიც ივანოვის ქუჩაზე ჟანდარმებმა გაჩხრიკეს, წაღებული ხელთნაწერები და წიგნები დაუბრუნეს.

✦ ციხიდან განთავისუფლება. ერთი თვის დატუსაღების შემდეგ 7 ივლისს ციხიდან გაანთავისუფლეს თორმეტი კაცი, რომლებიც იყვნენ დაჭერილი ელიგულაშვილის მოკვლის გამო. განთავისუფლებულთა სახელი და გვარი: მ. ძოწენიძე კ. ჯოხია, ტ. კეზევაძე, ი. ნიშნიანიძე, მამედ-ალი-ოღლი, ა. თოფჩიაშვილი, მ. რიჟინაშვილი, რ. იაყობიშვილი და ყობო ჩაყვაშვილი. ამ საქმის გამო კიდევ არიან დატუსაღებული ოც კაცამდე.

თფილისი

✦ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო. ქალაქის გამგეობაში დღემდე ჩაეწერა სამსახურის ცენზიანი რუსულ კურიაში 592 კაცი და საერთო კურიაში—384.

✦ შინაურ საქმეთა სამინისტრომ კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებაში გადასცა 127,250 მანეთი, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულ 1912 წ., 9 აპრილის კანონის ძალით მიეცემა კავკასიის ქალაქებს, სამხედრო ჯარის კაცთ ბინებისათვის დასახმარებლად.

სტამბოლის ქართველობას ოსმალეთის მთავრობამ ნება დართო გამართოს საზოგადო კრება. კრება განიხილავს წერაკითხვისა და ვაჭრობის გამავრცელებელ საზოგადოების დაარსების საკითხს. ამ საზოგადოების თავმჯდომარედ არის ბეჭრი ფაშა თავდგირიძე.

(ს. გ.)

გურიის ამბები.

— ამ დღეებში ცოფიანი ძაღლისაგან შეკბენილი ოზურგეთის სატუსაღოს მასწავლებელი ემელიან ლომთათიძე მთავრობის ნებართვით უკვე გაემგზავრა 6 ივლისს თფილისში საექიმოთ.

— 5 ივლისს ვიღაცეებმა რუსების მთაზე მძიმედ დაჭრეს საქონლის ექიმის ფერშალი ლუკა ლომინაძე.

— ჩოხატაურის სასამართლოს მსაჯული თ. დადიანი სამეგრელოში გადაიყვანეს, მის მაგიერი ჯერ არავინ დაუნიშნავთ. დადიანის მოადგილე დიდი ხნის დამსახურებული და მიუდგომელი მსაჯული პეკარსკი, რომელიც 25 წელია ჩოხატაურში მსახურებდა თითქოს მოხუცების გამო უადგილოთ დატოვეს. პეკარსკი პეტერბურგში წავიდა რომ გაიგოს რა იყო მიზეზი მისი დათხოვნისა. მას უნდა ეს ალაგი ისევ დაიბრუნოს სანამ სრულ პენსიას დაიმსახურებდეს.

დეპეშები.

(ბ. დ. ს.).

8 და 9 ივლისი.

რუსეთი.

პეტერბურგი. დააკავეს გაზ. „პრავდის“ მე 59 №-ი სტატიის, „მთამადნის მუშათა საერთაშორისო მე 23 სიეზდი“-ს მოთავსებისათვის.

ბოდაიბო. ს. მანუხინი თავისი მხლებლებითურთ პავლოგრადს წავიდა. აქ შედგა საარჩევნო წინასწარი კრებები ოქტომბრისტების და მემარჯვნეების, რომელზეაც მონაწილეობა მიიღეს მღვდლებმა; აირჩიეს საარჩევნო კომიტეტი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამართველოს უფროსს მიანდო, შეიმუშაოს მან ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონპროექტი მეოთხე დუმაში წარსადგენათ, როგორც კი იქ სხდომები დაიწყება.

ქერჩი. ენიკალის მაიაკთან ინგლისის ხომალდი დაეტაკა მარილით დატვირთულ იალქნიან გემს. გემი ჩაიძირა, ხოლო კომანდა გადარჩა.

თბილისი. შახსევანების წინააღმდეგ მებრძოლ ჯარის გასაძლიერებლათ გაიგზავნა კიდევ თბილისის პოლკის ერთი ბათალიონი და კაზაკთა ორი ასეული.

პეტერბურგი. აქ მოვიდა იაპონიის თავადი კაცურა და ბარონი გოტო ამალითურთ, მათ მოყვა ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის უფროსი, მიეგებენ იაპონიის დესპანი და რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი თავისი ჩინოვნიკების თანხლებით.

კიევი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით შედგა თათბირი სახელმწიფო დუმის არჩევნების შესახებ. სხვათა შორის განიხილეს კითხვა: ეკუთვნისთ თუ არა საარჩევნო უფლება იმ ვაჭრებს, რომელთაც უხდიათ გულდის გადასახადი 15 წელზე ნაკლებ დროს განმავლობაში.

უცხოეთი.

კონსტანტინოპოლი. პარლამენტში დიდი მღელვარებაა. დეპუტატები მოითხოვენ, რომ კრებაზე გამოცხადდენ გადამდგარი მინისტრები და პასუხი აგონ სახელმწიფოს დღევანდელ ვითარების შესახებ. გადაყენებული კაბინეტი არ გამოცხადდა.

ლისაბონი. ლისაბონ-სპორტოში სრული სიწყნარეა; პორტუგალიის ტერიტორიაზე უწესობა აღარ ხდება.

თავრიზი. დუზანიდან გავიდა პოდპოლკოვნიკი როდჩენკოს რაზმი, რომ შეუერთდეს აგარის ემირს; ხოლო ხიშმეტამმა ღამით ჩაიარა მარაგდის მახლობლათ სოფლები და ყარადაჯაგი და 4 ივლისს სუმარინს მივიდა. სპარსელთა დამსჯელი რაზმი, რომელიც 400 მხედ-

რისაგან და არტილერიისაგან შედგება, ფიდაროვის(?) რაზმის გვერდზე დაბანაკდა. არდებილის რაზმი სულ შედგება 1,600 კაცისაგან, რომელთაგან 600-მდე კაცის საშუალებით რაზმს არდებილთან ექნება კავშირი დაკავებული.

პრიზრენი. მშრალ მდინარესთან ალბანელებმა ხელთ იგდეს სამხედრო ტრანსპორტი (ურმები), რომელსაც იცავდა ნახევარი ბატალიონი ჯარის კაცი. იარაღი აყარეს 150 სალდათს. ქალაქში მოელიან თავდასხმას; ორი დღეა, რაც ფოსტა არ ყოფილა; იპეკში რიზა ბეის წინამძღოლობით არნაუტების თავდასხმას მოელიან; მიტროვიცაში ბაზარი დახურეს. აღელვებული ხალხი მეჩეთში შეიკრიბა და გადაწყვიტა დეპეშით მოთხოვოს სულთანს, რათა შეაჩერონ სამხედრო მოქმედება და კომისია გამოგზავნონ პრიშტინს.

მადრიდი. ვერინიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ოპორტო-ლისაბონში დიდი არეულობაა.

ბააგა. ნიდერლანდიის დეპეშ. სააგენტო ოფიციალურათ იუწყება, რომ კუნძულ ბალკაზე, ნიდერლანდების ინდოეთში, აჯანყებამ იფეთქა: კალის მადნებში მომუშავე 300-მდე ჩინელი გამგეობის სადგომს თავს დაესხა და მოკლეს ერთი. წესიერება აღადგინეს ჯარების საშუალებით, მოკლეს 9 აჯანყებული და დაჭრეს ექვსი.

ოსმალეთ-იტალიის ომი.

რომი. „სტეფანის“ დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა შემდეგი ოფიციალური ცნობა, რომელიც მიიღო იტალიის საზღვაო ძალების უფროსმა. რაკი ოსმალეთის ფლოტმა განიზრახა მოულოდნელათ თავს დასხმოდა იტალიის სამხედრო გემ-ხომალდებს ეგეის ზღვაში, მიტომ იტალიამ გადაწყვიტა, იტალიის კრეისერების და კონტრ ნაღმოსნების რიცხვი გაამრავლოს და გასწიოს მისი ხაზი ჩრდილოეთისკენ; ამ მიზნით ნაღმოსანთა ესკადრა გაემართა დარდანელისაკენ, სადაც ის ერთხანს ვერ შეამჩნიეს, რის გამოც ის 20 კილომეტრზე მიუახლოვდა სიმაგრეებს, საიდანაც განათებულ იქნა მრავალი პროჟექტორით და ორივე ნაპირებიდან მას დაუშინეს ზარბაზნები და თოფები; ესკადრამ ცოტა კიდევ წაიწია წინ, ნახა, რომ მტრის ფლოტი მზათაა საომრათ და გარს შემოწყობილი აქვს მას ნაღმები. იგი უვნებლათ უკანვე გამობრუნდა ეგეის ზღვაში.

კონსტანტინოპოლი. დარდანელთან მომხდარ შეტაკების გამო ოფიციალურათ იუწყებიან, რომ სოხანლიდერეში უნახავთ ხუთი ნაღმოსანი, რომელთაგან სამი უკანვე გაბრუნდაო; პაიკუშტენაში უნახავთ აგრეთვე საშველი სარტყლები წარწერით „გლიბმია“(?).

სპარსეთი

თავრიზი. აქედან აგარის ჯარს მაშველი რაზმი გაუგზავნეს. სერაბის გუბერნატორმა დაატყვევა და ბორკილი დაადვა შახსევანების შეღალნლუს მამასახლისს მირაშ ხანს. არდებილიდან იუწყებიან, რომ გუშინდამ იქ წავიდა გენერალ ფიდაროვის წინამძღოლობით რუსის ჯარის ერთი რაზმი, სიმრანში დარჩა მცირე ნაწილი, რომელიც დაიცავს სამხედრო საბარგო ურმებს; დღეს კიდევ გავიდა 800 კაცისაგან შემდგარი რაზმი რეშიდ ულ მულკას წინამძღოლობით სოფელ გუნიდ ყრანისაკენ იმ მიზნით, რომ შახსევანების ძალა გათიშონ.

აჯანყება ალბანეთში.

უსკიუბი. კუმანის და უსკიუბის დელეგატები პრიშტინს წავიდენ, სადაც თავს იყრიან პეტენის, იპეკის, სენიცკის და პლევალსის ოლქების დელეგატები, რომელთაც მინდობილი აქვთ გამოარკვიონ ალბანელთა საქმე და წარუდგინონ ალბანელთა მოთხოვნები ამ საქმისთვის სტამბოლიდან გამოგზავნილ კომისიას.

10 ივლ. კონსტიტუციის წლის თავის დღესასწაულის გამო აქ დიდ ამბებს მოელიან; ჯარებს თავს უყრიან ფერიზოვიცაში. ალბანელები სულით მეტათ გამხნევდენ: ამბობენ, რომ მათ კიდევ მიემხრო მთავრობის 17 ბათალიონი 30 ზარბაზნით და პულემეტით. არნაუტის ჯარები სტამბოლისაკენ გალაშქრებასაც კი ემუქრებიან, თუ მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ და ალბანეთის ავტონომიის საკითხს დროზე არ გადაჭრიან.

ფელეტონი.

***

ღელვა ზღვის შუბლის ჭმუხნვაა,
მხილება გულის წყრომისა,
რკინის გალიის ბჭეთადმი
ფაფარაყრილი ლომისა.
ტალღა-მთა—გმირთა გმირია,
მებრძოლი ფავგანწირული,
მისი კვეთება ბრძოლაა
სასტიკი, დანა-პირული.
სალი კლდე, ზღვის პირს მდგომარი,
ეგ ბოროტების სახეა,
და კიდე, რიდე ზღვის ირგვლივ
თავისუფლების მახეა.
ნავი—აზრია კაცისა,
გემი—ოცნება, სურვილი,
და ზედ სინათლე—ცოდნაა,
ზღვის ნისლით შემობურვილი.
კომპასი ბრძოლის ფხა არის,
საჭე და ანგა—მახვილი,
ქარი ეგ გლოვის ჰანგია,
ზღვის კიდის გამოძახილი.
შორს ნავთსადგური, ზღვის ყურე—
აღთქმის მხარეა დიადი,
და აწმყო კრული—ზღვის მკერდზე
გაშლილი ღამის წყვდიადი...

ნ. ზომლეთელი.

პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში*).

1. ინგლისი.

ზოგიერთი პუბლიცისტები, საზოგადო მოღვაწეები, განსაკუთრებით იურისტ-მეცნიერები მოგვითხრობენ, რომ ინგლისი ის კლასიკური ქვეყანაა, რომელიც განიცთიდა თავის სახელმწიფო ორგანოების დემოკრატიულ ნიადაგზე დამკვიდრებას უბრძოლველათ, წყნარი ნაბიჯით, მშვიდობიანი გზით სიარულით.

*) ამ წერილებში ჩვენ გვსურს მოკლედ გავარკვიოთ დღევანდელი შინაური პოლიტიკა ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებში, რამდენადაც ეს პოლიტიკა შეეხება თითოეულ სახელმწიფოს კონსტიტუციის გარდაქნას, მის დემოკრატიზაციას. ვგრძნობ გარეშეა, რომ ეს პოლიტიკა უფრო ნათლად

(* იხ. „ჩვ. ცხ.“ № 7.

წერილი ფოთიდან*).

(საბჭოს მორიგი სხდომა).

წელს სავაჭრო გიმნაზიის დირექტორმა ქალაქს მოსთხოვა გიმნაზიის შენობისათვის მიეშენებიათ შენობა საგიმნასტიკო კლასებისათვის. ამის გეგმა ქალაქმა კერძო ინჟინერს ბ-ნ კურილიანოკს მიანდო. მან სმეტა 22710 მან. გამოიანგარიშა. მოიჯარადრე არავინ გამოჩნდა. ხმები კი გავრცელდა ამის გარშემო, თითქო სმეტა მეტად გაბერილი იყო. საბჭომ აირჩია სპეციალური კომისია, რომელსაც მიანდო სმეტის შედგენა. უკანასკნელმა განზრახ თუ უნებლიეთ (აბა ვინ უწყის) ინჟინერს გადააჭარბა და სმეტა გაზარდა 90 მ. ე. ი, 22800 მანეთამდე. გამოცხადებულ იქნა საჯარო ვაჭრობა. მოიჯარადრეთ გამოცხადდენ ბ-ნნი ე. ქადეიშვილი და ო. ჟვანია, რომელთაც შენობის აგება ზემოაღნიშნულ ფასად აიღეს. მაგრამ აქ მოხთა ის, რასაც, არც მოიჯარადრენი და არც ზოგიერთები არ მოელოდენ, მოხდა ის, რაც მუდამ საიდუმლეობით არის ხოლმე მოცული. თურმე ხსენებულმა მოიჯარადრეებმა ეს საქმე რაჭველებს გადასცენ 15,000 მანეთში და უკანასკნელებმა კი გაახიალენ და საბრალო მოიჯარადრენი, მათი „კომპანიონები“ იდეური და საქმითი შეაშფოთენ. შეაწუხეს აგრეთვე ქალაქის მამები! ატყდა ალიაქოთი, მითქმა-მოთქმა, გაწი-გამოწია, რომელიც დღესაც არ დამცხრალა და რომელსაც ცალკე წერილში ვრცლად შევეხები. არჩეული იქნა ახალი კომისია, რომელმაც შეადგინა ადგილზე სმეტა 1698 მ. 50 კ. მკითხველო მაინც და მაინც დიდი განსხვავება არაა, სულ ასეთ „პატარა“ და „საზოგადო“ საქმეში რაღაც 8,800 მანეთი ძალიანც რომ მოეგოთ მოიჯარადრეებს, განა დიდი მოსაგებია?! მაგრამ, მაგარი ისაა, რომ ნიღაბი აეხადათ არამც თუ ამ მოიჯარადრეებს და მათ თანამოსარჩლეთ, არამედ საზოგადოთ ასეთ „მოღვაწეთ“. აქ კი სულ სხვა ფსიხოლოგიის ხალხია. მოგებით შეგიძლიათ რამდენიც გნებავთ და რა გზითა და საშვალებითა გსურთ, მოიგოთ, ოღონდ ეგ არ გამოგიმჟღავნდეთ. აქ კი გამოგორდა ძაღლისა თავი და ჩვენმა მოიჯარადრეებმა მყისვე მიატოვეს იჯარა. მას შემდეგ გამოჩნდენ კიდევ რამდენიმე

(* იხ. „ჩვ. ცხ.“ № 7.

ფერილი ფოთიდან*).

(საბჭოს მორიგი სხდომა).

წელს სავაჭრო გიმნაზიის დირექტორმა ქალაქს მოსთხოვა გიმნაზიის შენობისათვის მიეშენებიათ შენობა საგიმნასტიკო კლასებისათვის. ამის გეგმა ქალაქმა კერძო ინჟინერს ბ-ნ კურილიანოკს მიანდო. მან სმეტა 22710 მან. გამოიანგარიშა. მოიჯარადრე არავინ გამოჩნდა. ხმები კი გავრცელდა ამის გარშემო, თითქო სმეტა მეტად გაბერილი იყო. საბჭომ აირჩია სპეციალური კომისია, რომელსაც მიანდო სმეტის შედგენა. უკანასკნელმა განზრახ თუ უნებლიეთ (აბა ვინ უწყის) ინჟინერს გადააჭარბა და სმეტა გაზარდა 90 მ. ე. ი, 22800 მანეთამდე. გამოცხადებულ იქნა საჯარო ვაჭრობა. მოიჯარადრეთ გამოცხადდენ ბ-ნნი ე. ქადეიშვილი და ო. ჟვანია, რომელთაც შენობის აგება ზემოაღნიშნულ ფასად აიღეს. მაგრამ აქ მოხთა ის, რასაც, არც მოიჯარადრენი და არც ზოგიერთები არ მოელოდენ, მოხდა ის, რაც მუდამ საიდუმლეობით არის ხოლმე მოცული. თურმე ხსენებულმა მოიჯარადრეებმა ეს საქმე რაჭველებს გადასცენ 15,000 მანეთში და უკანასკნელებმა კი გაახიალენ და საბრალო მოიჯარადრენი, მათი „კომპანიონები“ იდეური და საქმითი შეაშფოთენ. შეაწუხეს აგრეთვე ქალაქის მამები! ატყდა ალიაქოთი, მითქმა-მოთქმა, გაწი-გამოწია, რომელიც დღესაც არ დამცხრალა და რომელსაც ცალკე წერილში ვრცლად შევეხები. არჩეული იქნა ახალი კომისია, რომელმაც შეადგინა ადგილზე სმეტა 1698 მ. 50 კ. მკითხველო მაინც და მაინც დიდი განსხვავება არაა, სულ ასეთ „პატარა“ და „საზოგადო“ საქმეში რაღაც 8,800 მანეთი ძალიანც რომ მოეგოთ მოიჯარადრეებს, განა დიდი მოსაგებია?! მაგრამ, მაგარი ისაა, რომ ნიღაბი აეხადათ არამც თუ ამ მოიჯარადრეებს და მათ თანამოსარჩლეთ, არამედ საზოგადოთ ასეთ „მოღვაწეთ“. აქ კი სულ სხვა ფსიხოლოგიის ხალხია. მოგებით შეგიძლიათ რამდენიც გნებავთ და რა გზითა და საშვალებითა გსურთ, მოიგოთ, ოღონდ ეგ არ გამოგიმჟღავნდეთ. აქ კი გამოგორდა ძაღლისა თავი და ჩვენმა მოიჯარადრეებმა მყისვე მიატოვეს იჯარა. მას შემდეგ გამოჩნდენ კიდევ რამდენიმე

გლეხება და არაყის დუქანი. კიევის გუბერნიის სოფ. კრეკოლის გლეხებმა გუბერნატორს სთხოვეს, დაგვეხმარეთ, რომ რაიმე გზით დაიხუროს სასტიმროები არაყით სავაჭრო დუქანი.

დატუსაღება. პეტერბურგში დაატყვევეს ჟურნალისტი რაკოვსკი, რომელსაც აბრალებენ დამცველ პოლიციის საიდუმლოებათა გამომჟღავნებას.

— ეკატერინოსლავში კამენკის ქარხანაში დაატუსაღეს 22 კაცი, რომელთაც, მთავრობის აზრით, პოლიტიკური მიტინგის გამართვა უნდოდათ.

სიტყვის თავისუფლება. სამოსამართლო პარტიამ დაადგინა მოსპობილ იქნას ლევ ტოლსტის წიგნი „კრუგ ჩტენია“ — იმავ პალატამ იგივე განაჩენი გამოიტანა პეტრე კროპოტკინის წიგნის „თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმის“ შესახებ.

—ელისავეტგრადში გუბერნატორმა სამასი მანეთით დააჯარიმა ადგილობრივი გაზეთი „გოლოს იუგა“

— ასი მანეთით დააჯარიმეს „რუსკოე სლოვო“.

—„პოვოლჟსკაია ბილ“ დააჯარიმეს ხუთი თუმნით.

— ქალაქ ვინიცის გამგეობამ გაზეთის გამოცემა განიზრახა, მარა გუბერნატორმა ნება არ დართო.

— „ვარშავსკოე სლოვოს“ შეჩერებასთან ერთად მის რედაქტორს პარშინს, რომელიც ნაფიცი ვექილის თანაშემწეა, სამი თვის განმავლობაში პრაქტიკა აეკრძალა.

— „ვიატსკაია რეჩი“ სამასი მანეთით დააჯარიმეს.

— პეტერბურგში სამოსამართლო პალატამ ციხე მიუსაჯა გლეხ შუტკოვს, რომელსაც ბრალათ ედება სხვათა შორის ლევ ტოლსტოის მიმართულების წიგნის „памятки для солдатъ“-ის გამოცემა.

— გაზეთები: „რეჩი“, „სოვრემენნოე სლოვო“, „გრაჟდანინი“ და „რუსკოე ზნამია“ სამართალში მისცეს. აბრალებენ შინაგან საქმეთა მინისტრის, ხარუზინის მოღვაწეობის შესახებ ცრუ ხმების გავრცელებას.

— **ტუსაღების წამება.** ომსკში სამოსამართლო პალატის სესიამ გაარჩია სემიპალატინსკის პოლიციის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ტუსაღების წამება იმ მიზნით, რომ დანაშაულში გამოეტეხათ ისინი. გამოძიებას შემაძრწუნებელი სცენა

რუსეთი.

(გაზეთებიდან)

საზღვაო-სამხედრო სასამართლო. სევასტოპოლში გაასამართლეს 16 მატროსი, რომელთაც ჯარში ასაჯანყებელ მოწოდებათა გავრცელება ბრალდებოდათ. სამხედრო-საზღვაო სასამართლომ ათ მათგანს დახვრეტა გადაუწყიტა, ხუთს ექვსექვსი წლის კატორღა და ერთი გაამართლა. განაჩენი დასამტკიცებლათ გაეგზავნა სამხედრო მინისტრს.

ბალტიისპირეთი. ბალტიისპირეთის ბარონებმა ბალტიისპირეთ-ბალტიისპირეთ-ბალტიისპირეთ-

ქუთაისის განყოფილება ამხანაგობა პაიებით ს. მ. კირაკოზოვი, ბ. გ. ოგანოვი & ამხ.
გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი
მთავარი განყოფილება ვლადიკავკაზში. განყოფილებები: ქ. თფილისში, გიორგიევსკში, ანდოლნში, პიატიგორსკში და გროზნაში.
С. М. КИРАКОЗОВЪ, Б. Г. ОГАНОВЪ и К°
მიღებულია დიდძალი საქონელი სატინა, ბატისტი, ჩესუნჩა, პარუსინა კისეია, ჩითი და სხვა ქსოვილები ახალმოდის არშიებით. получен огромный выборъ Сатины батистовъ, чесунчи, парусины, кисеи, ситца и другихъ тканей съ модной каймой. 3—8—3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნები გამოურკვევია: თურმე ტუსაღებს სცემდენ, აწამებდენ, ყელში რევოლვერს აბჯენდენ და სხვა. სამოსამართლო პალატამ პასუხის გებაში მიცემულთაგან ყველა დამნაშავეთ იცნო და სხვადასხვა ვადით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა თითეულ მათგანს, სხვათა შორის პოლიცმეისტერ კარამიშევსაც.

გაფიცვები. ჟირარედოვოში გაიფიცა 150 მუშა.

— ჩენსტოხოვოში პოლიციამ დაატუსაღა მოტტეს ქარხნის 20 მუშა.

— ნოვგოროდის საგუბერნიო სტამბების გაფიცვამ ორ დღეს გასტანა. გამარჯვება მუშებს დარჩათ.

— ვარშავაში მუშების გაფიცვის გამო გამოურკვეველ დრომდე დაიხურა რუდზკის ქარხანა.

— ხერსონში თვე ნახევრის განმავლობაში გაფიცული იყვნენ გემთა ამგებ ქარხნის მუშები. გაფიცვა დასრულდა მუშათა ზოგიერთ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით.

— ქ. ტულაში ტრაშვაის კონდუქტორებმა ადმინისტრაციას ეკონომიური მოთხოვნილებანი წარუდგინეს, მოითხოვეს მათი დაკმაყოფილება, წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვით დაემუქრენ. სამი გაფიცულთაგანი დაატუსაღეს, გაფიცვა ჩაიშალა.

დაგვიანებული ცნობა. ქალაქ ნარიმში პირველი მაისის დღესასწაულის გამო გაუჩხრეკიათ და დაუპატიმრებიათ რამდენიმე პოლიტიკური გადასახლებული.

სახელმწიფო დუმის აარჩეველთა საყურადღებოთ.

ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი 25 წელი შესრულებია და თავის სახელზე ერთი წლის განმავლობაში ისეთი ბინა ქონებია ნაქირავები, რომელსაც ცალკე შესავალი, სამზარეულო და თუნდაც ერთი ოთახი ქონდა, ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს დუმის არჩევნებში

ვინც ბინის გადასახადს არ იხთის, ან მარტო მიმდინარე 1912 წ. გადიხადა, ის მოვალეა, რომ დროზე შეუდგეს საარჩევნო სიებში შეტანის თადარიგს; უნდა გამოცხადდეს ქალაქის „უპრავაში“ (12-ტ **ამ თვემდე ქუთაისში**, 8 **აგვისტომდე თფილისში** და სხ.) და ითხოვოს საარჩევნო სიაში შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიაში არ შეიტანებენ და არჩევნების უფლებაც დაეკარგებათ.

თუ ბინის დამქირავებელს არ შესრულებია 25 წელიწადი, ან არ შესრულებია ბინის დაქირავების საჭირო ვადა—ერთი წელიწადი, მაგრამ ორივე ეს ვადა სიების შედგენამდე და გამოქვეყნებამდე შესრულდება, მას არ ერთმევა არჩევნების უფლება, ხოლო დროზე უნდა განაცხადოს ეს გარემოება, სადაც ჯერ არს.

განცხადება ახლა შეიძლება და მომავალშიაც, ვიდრე სიები გამოქვეყნდებოდეს (ქუთაისში ეს მოხდება 12 კვირიკობისთვეს შემდეგ, თბილისში კი 8 აგვისტოს), შემდეგ კი დაგვიანებული იქნება. ისინი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 25 წელი და არც ბინის ვადა, ან ერთი მათგანი და ამის გამო ეხლავე ვერ მოითხოვენ სიებში შეტანას, უნდა ცთილობდენ, ეს დრო არ გაუშვან ხელიდან. შემდეგ, როცა ერთი წლის ვადა გავა. განცხადება უნდა შეტანილ იქნას ქალაქის თავის სახელზე საქმე დღით დილის ათ საათიდან. აი განცხადებების ფორმა:

ვქირაობ რა ერთი წლის განმავლობაში ამ და ამ საპოლიციო ნაწილში, ამა და ამ ქუჩაზე ბინას, გთხოვთ შემრიცხოთ სახელმწიფო დუმის საარჩევნო სიაში. ბოლოში მიეწერება მთხოვნელის სახელი, გვარი და რიცხვი.

განცხადებების დროს თან უნდა წადგენილ იქნას მოწმობა, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინა გაქვთ დაქირავებული.

ასეთ მოწმობათ გამოდგება ბინის დაქირავებისას დადებული კანტრაკტები, თუ მისი შესრულების დროს ხელის მოწერა დამტკიცა ან ნოტარიუსმა და ან ვინმე მართებლობის პირმა.

ვინაიდან ასეთი კანტრაკტები ძვირათ იკვრება და ჩვეულებრივ შინაურულ პირობებით, ან კიდევ უბრალო მოლაპარაკებით ხთება ბინის დაქირავება, დამქირავებელთა უმეტესობას პოლიციიდან მოუხდება მოწმობის აღება. პოლიციას, უნდა წარედგინოს **ან ბინის წიგნი**, თუ ასეთი მოიპოვება, **ან სახლის პატრონის ან მისი მოადგილის მოწმობა**, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინას ქირაობდა, დასახელებულ დოკუმენტების შემოწმებას შემდეგ ბოქაული იძლევა ქალაქის გამგეობაში შესატან შესაფერ მოწმობას. არც ქალაქის გამგეობაში შესატან განცხადებას და არც პოლიციის მერ მიცემულ მოწმობას საგერბო გადასახადი არ ესაჭიროება.

ვინაიდან ყველაფერი ეს კარგა დროს მოითხოვს, მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ა ხლავე შეუდგენ თადარიგს.

როგორც ქალაქის გამგეობაში, ისე პოლიციაში შესატანი განცხადება უნდა რუსულ ენაზე დაიწეროს.

მეოთხე დუმის გარშემო.

„რეჩის“ გადმოცემით, შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე მიუღია ცნობები სხვა და სხვა გუბერნატორებისაგან მომავალ არჩევნების შესახებ. გუბერნატორები ერთობ უნუგეშოთ უყურებენ არჩევნებს. მათის აზრით ერთობ საეჭვოა, რომ მთავრობის მომხრე პარტიებმა გაიმარჯვონ, ან მათმა—გუბერნატორების, გავლენამ რაიმე მათთვის სასურველი შედეგები გამოიღოს. ზოგი მათგანის აზრით არჩევნებზე გავლენას იქონიებს ის მიზეზები, რომელნიც თავს წამოყობენ თვითონ საარჩევნო კომპანიის დროს; ზოგი მათგანი არჩევნების ასე თუ ისე დასრულებას უკავშირებს მოსავალს. ყველა ეს მასალები და მოსაზრებანი განხილულ იქნება ახლო მომავალში კოკოვცოვის, მაკაროვის და ხარუზინის მიერ. გამოწვეულ იქნებიან ზოგიერთი გუბერნატორებიც.

საარჩევნო კომპანია. ნიკოლაევში შავრაზმელები უკვე შეუდგნენ საარჩევნო აგიტაციას

მემარჯვენეთა ბლოკი. დონის როსტოვში ის ის—იყო მაგრდებოდა ბლოკი ნაციონალისტებს, ოკტომბრისტებსა და შავრაზმელებს—შუაც, მარა რაღაც მიზეზის გამო მოკავშირეთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა. სამივე პარტია ცალ-ცალკე გამოსვლას აპირებს.

ბურიშკევიჩის გასაჭირი. პურიშკევიჩს არ იქნა, ვერ უშოვია ისეთი ადგილი, საიდანაც შეეძლოს სახელმწიფო დუმაში დეპუტატათ გასვლა. ქალაქ აკერმანიდან კურსკში უნდოდა რამეს გამხდარიყო, რადგან ბესარაბიაში არჩევის იმედი დაკარგა, მარა ვერც კურსკში მიუდის კარგად საქმე და ისევ აკერმანში ბრუნდება, სადაც ზოგიერთმა შავრაზმელმა დახმარება აღუთქვა.

ეფისკოპოზი იოანე. უწმინდესი სინოდის განკარგულებით რუსთა კურიის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარეთ დაინიშნა ეფისკოპოზი იოანე.

სამი საა. მინსკში გუბერნატორის ბრძანებით სხვადასხვა ერები ცალ-ცალკე საარჩევნო სიებში უნდა შეიტანონ, ვინაიდან აქ სამი ერია—რუსები, პოლონელები და ებრაელები—სიაც სამი უნდა შედგეს.

სატყვის თავისუფლება. „ნევსკი გოლოსი“ ხუთასი მანეთით დააჯარიმეს ორი სტატიისათვის: „არჩევნების წინასწარი განმარტებით“ და „მუშათა შორის“.

მოაწერს მინისტრი ხელს მეფის ბრძანებებს? მაშინ, როცა ის დარწმუნებულია, რომ პარლამენტის, ხალხის წარმომადგენლების უმრავლესობა მას მხარს დაუჭერს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის იძულებულია მეფეს უარი უთხრას ხელის მოწერაზე, მისი ნების დადასტურებაზე—. მეფეს შეუძლია ამისთანა მინისტრი დაითხოვოს, ახალი მინისტრი მოიწვიოს, თუნდაც ეს ახალი მინისტრი არ იყოს აღჭურვილი პარლამენტის უმრავლესობის ნდობით. ასეც მოიქცა ინგლისის მეფე ვილგელმ მეოთხე მე XIX საუკუნის მეოცდაათე წლებში. თუმცა პარლამენტის უმრავლესობა ლიბერალური იყო, მაგრამ მან მინისტრებად კონსერვატორები მოიწვია. პირველი მინისტრი იყო ცნობილი პიტტი. პარლამენტის უმრავლესობამ უარყო პიტტის პოლიტიკა. პირველმა მინისტრმა წინადადება მისცა მეფეს—ურჩი პარლამენტი დაეთხოვა და ახალი არჩევნები მოეხთინა. პარლამენტი დაითხოვეს, მაგრამ არჩევნებში ისევ ლიბერალებმა გაიმარჯვეს და ახლად შეგროვილმა პარლამენტმა პიტტის კონსერვატიულ სამინისტროს ოთხჯერ ზედიზედ უნდობლობა გამოუცხადა. მართალია, პიტტი კონსერვატორი იყო, მაგრამ ის არ იყო უჭკუო პოლიტიკოსი. მან, როგორც გამჭრიახმა პოლიტიკოსმა, კარგად იცოდა, რომ ბრძოლაში დამარცხდებოდა და ამიტომაც 1835 წელს სამსახურს თავი დაანება და თანაც მოიყვანა ის ფორმულა, რომელიც დღეს ინგლისის აღმასრულებელ ძალის, სამინისტროს არსებობის დედა ბოძი გამხდარა. მან განაცხადა, რომ „კონსტიტუციის ძალით მთავრობამ უნდა ადგილი დაუთმოს სხვას, თუ კი ის დარწმუნდა, რომ ქვედა პალატა (палата общинъ) მისი წინააღმდეგია, თუნდაც მას ქონდეს ნდობა მეფის და ზემო პალატის (ლორდთა პალატის)“. მაშ ასე. თითქმის ორასი წლის ბრძოლის შემდეგ ინგლისში ფეხი მოიკიდა (და დღეს უკვე ყველასაკენ მიღებულია, როგორც ინგლისის ნაციონალური თვისება) პარლამენტის წინაშე პასუხის მგებელმა სამინისტრომ, როგორც ამბობენ,—პარლამენტარულმა სამინისტრომ, რომელიც ირჩევა პარლამენტის უმრავლესობის წრიდან და რომელიც პასუხის მგებელია პარლამენტის წინაშე.

ამბობენ—„ინგლისის მეფე მეფობს, მაგრამ ის არ მართავს სახელწმიფოს“. ყოველივე მეფისაგან გამოცემული აქტი ხელმოწერილია სათანადო მინისტრის მიერ. მთელი ეს კონსტიტუციონალური უფლება, მოპოებული პარლამენტის დიდი ბრძოლის შემდეგ, არ ემყარება არც ერთს დაწერილ კანონს, ის ემყარება ჩვეულებებს. პასუხის მგებელი სამინისტრო ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამას უფრო დიდი ფასი აქვს, ვიდრე ბევრ სხვა უფლებებს, ქაღალდზე დაწერილს და ცხოვრებაში არ გატარებულს.

როგორი იყო ის ქვედა-პალატა, რომელმაც დაიმორჩილა აღმასრულებელი ძალა, ვისგან იყო ის არჩეული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში და რა ცვლილება განიცადა ამ დაწესებულებამ, სანამ დღევანდელ სახეს მიიღებდა?

რუსეთის ცნობილი იურისტი, პროფესორი ლაზარევსკი ამბობს, რომ ინგლისის პარლამენტი მეთვრამეტე საუკუნის დამლევს მთელი ნაციის წარმომადგენელი იყოო. ეს არ არის მართალი. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს ინგლისის ქვედა-პალატის დეპუტატებს ირჩევდა სამი კორპორაცია: საგრაფოების (საოლქოს) კრება (185 დეპუტატი), ქალაქების და დაბების კორპორაციები (467 დეპუტატი), და უნივერსიტეტები (5 დეპუტატი). მთელი მუშათა კლასი გამორიცხული იყო საარჩევნო უფლებიდან. ეს დავიწყებია ლიბერალ პროფესორს ლაზარევსკის. თავის აღფრთოვანებაში ინგლისის პარლამენტის წინაშე მას დავიწყებია ბევრი სხვა საინტერესო რამეც. ბევრ დაბას, რომელსაც დეპუტატის არჩევის უფლება ქონდა, არავითარი სიცოცხლე არ შერჩენოდა. მაგ. დაბა ბირალსტოლში, რომელიც დეპუტატს ირჩევდა, იყო მხოლოდ ერთი სახლი; მეორე დაბა თუმც დეპუტატს გზავნიდა, მაგრამ იქ სულ არ ცხოვრობდა კაცი და მის წარმომადგენლად მიდიოდა ის გრაფი, რომელსაც ეს ყოფილი დაბა ეკუთვნოდა. ამისთანა დაბები ბევრი იყო ინგლისში (34). მათ დაარქვეს შესაფერი სახელიც „**დამპალი დაბა**“. არც საგრაფოების კრებებზე იყო უკეთესად საქმე. (ინგლისში საგრაფოები ნიშნავს თითქმის იმას, რასაც ჩვენში ოლქები. მაგალითად ბიუტში **თოთხმეტი თასი** მცხოვრები იყო. იმათში არჩევის უფლება მხოლოდ ოცდაერთ კაცს ქონდა, რომელნიც მსხვილი მიწათმფლობელები იყვენ. ამბობენ, რომ ერთხელ საგრაფო არჩევნებზე მოვიდა ერთი ამომრჩეველი, თავის თავი კრების თავმჯდომარედ გამოაცხადა. წარმოთქვა სიტყვა თავის კანდიდატურის სასარგებლოდ, უყარა კენჭი თავის გვარს, თვითონ მისცა თავის თავს თეთრი კენჭი და თავი ერთხმათ ამორჩეულად გამოაცხადა. რასაკვირველია, ამისთანა არჩევნებზე აგებული სახალხო წარმომადგენლობა არ იყო ნაციონალური პარლამენტი და ამიტომაც უფლებას მოკლებულ ნაციის ნაწილმა არსებულ სისტემას ომი გამოუცხადა და მოითხოვა საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება. პოლიტიკურ კომპანიას ხელმძღვანელობდა რადიკალური (ბურჟუაზიული) პარტია. აქამდი ინგლისი იცნობდა ორ პარტიას: ტორებსა და ვიგებს. ტორები უმთავრესად მიწათმფლობელების, ლენდლორდების წარმომადგენელი იყვენ, ხოლო ვიგები—მსხვილი ბურჟუაზიის. ხან ერთი პარტიის ხელში იყო პარლამენტის უმრავლესობა და სამინისტრო, ხან მეორის. არც ერთი ამ ორ პარტიაში არ იყო მომხრე საარჩევნო უფლების გაფართოების. ხოლო როდესაც წვრილმა ბურჟუაზიამ, ნაწილმა საშვალო ბურჟუაზიისამ, და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მუშებმა, მოითხოვეს (1816 წელს) საყოველთაო საარჩევნო უფლება, მთავრობამ სასტიკ ზომებს მიმართა მათ წინააღმდეგ. დაიწყო ბრძოლა.

როგორ იბრძოდა ინგლისის რადიკალური პარტია პოლიტიკური უფლების მოსაპოებლად?

თავის თავად ცხადია, რომ ბრძოლის დროს მოპირდაპირე მხარეები ათას ნაირ საშუალებას ქმნიან, რომ თავისი აზრი ცხოვრებაში გაიყვანონ, გამარჯვება მოიპოონ. მთელი პარტია, მთელი მასა განიცდის იმას, რასაც ცალკე პიროვნება. როდესაც პიროვნებას ხიფათი მოელის, ის ცდილობს თავი დააწიოს ხიფათს და ამისათვის ათასნაირ ხერხებს მიმართავს. თითქმის ლაჩარიც გაჭირვების დროს დევად იქცევა. მოუხეშავი ტვინის პატრონი ათას ნაირ საბუთებს მიმართავს თავის დასაცავად. მდგომარეობა აიძულებს მას მთელი მისი ძალა გამოიჩინოს; მდგომარეობა ქმნის შეგნებას. ინგლისის ფართო მასა, საარჩევნო უფლების გარეშე დარჩენილი, განსაკუთრებით მუშები, სასტიკ მდგომარეობაში იყვენ ჩავარდნილი. ეკონომიური კრიზისი მაჯლაჯუნასავით აწვა ინგლისის ხალხს. უფრო შეუგნებელმა მუშებმა ეს კრიზისი მიაწერეს მაშინების შემოღებას და ზოგიერთ ადგილას ის კიდეც დაამტვრიეს. სანოვაგე მეტად გაძვირებული იყო ინგლისში, რადგანაც პარლამენტმა, რომლის უმრავლესობას მიწაფმთლობელები შეადგენდენ თავისი სადამოძენო სისტემით პურის შემოტანა საზღვარგარეთიდან ფაქტიურად ერთავად მოსპო. ხალხი იაფ პურს ითხოვდა, საჭირო იყო საბაჟოს მოსპობა, ხოლო კანონმდებლობა პარლამენტის ხელში იყო, რომელიც ზემოდ-მოყვანილი საარჩევნო სისტემის წყალობით, ერთი მუჭი ოლიგარხიის ხელში იყო. საჭირო იყო პარლამენტში უმრავლესობის მოპოება, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო საყოველთაო საარჩევნო უფლების მოპოება. რადიკალური პარტია თავში ჩაუდგა მოძრაობას. მან ურჩია უუფლებო მასას პეტიციით მიემართა პარლამენტისთვის. რადგანაც პეტიცია დღემდი შესამჩნევ როლს თამაშობს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ამას მკითხველი ქვემოდ დაინახავს; და რადგანაც დღეს რუსეთის მუშებშიაც არსებობს აზრი—მიმართონ პეტიციით სახელმწიფო სათათბიროს კავშირების თავისუფლების მოსაპოებლად, ჩვენ მოკლედ განვმარტავთ ამ ბრძოლის იარაღის მნიშვნელობას. რომელიმე ორგანიზაცია იღებს თავის თავზე ინიციატივას და რომელიმე მოთხოვნილებას, ფართო მასისთვის საინტერესოს, რამდენიმე მუხლებად ჩამოთვლის. მთელ მოთხოვნილებებს ის აძლევს მიმართვის ხასიათს, რომელიმე საერთო სახელმწიფოებრივი დაწესებულების მიმართ. ის შეიძლება მიმართული იყოს პარლამენტისადმი, სამინისტროსადმი, ან მეფისადმი. ის უნდა ხელმოწერილი იყოს ათასობით. ინგლისის იმ დროის პეტიციებს მილიონობით აწერდა ხალხი ხელს. ამნაირად სახალხო მოძრაობა იღებს უფრო შეგნებულ და ორგანიზაციულად შეკავშირებულ სახეს, აღვიძებს ფართო მასაში ინტერესს წამოსროლილ მოთხოვნილებისადმი, ხთის მას საერთო სჯა-ბაასის საგნად და პოპულიარულად. რადიკალურმა პარტიამ მიმართა პეტიციას, როგორც ლეგალურ საშუალებას მიზნის მისახწევად. თავისი მოთხოვნილება მან ხუთ მუხლში გამოხატა.

აი ეს მუხლები: **საყოველთაო საარჩევნო** უფლება, ფარული **კენჭის ყრა, ჯამაგირი დეპუტატებს, პარლამენტის ყოველ წლივ ამორჩევა, საარჩევნო ცენზის გაუქმება.** პეტიციას თან ახლდა მიტინგების მოწყობა, სადაც ათასობით შეკრებილი ხალხი უსმენდა ორატორებს. ამასთან რადიკალურმა პარტიამ მიმართა პრესას, როგორც ერთ ბრძოლის საშუალებათაგანს. დღეს რომ ვინმემ ევროპაში პრესის მნიშვნელობა ცუდათ მოიხსენიოს და შესაფერი ფასი ვერ დაადვას მას, იმას უჭკუო კაცათ ჩაიცხავენ. ამას წინ მოთავსებულ მიუნხენიდან მეტად საინტერესო და შინაარსიან წერილში კ. გ—ძე სამართლიანად აღნიშნავდა გერმანიის მუშების პრესის სიდიადეს და მის მნიშვნელობას. როდესაც რადიკალურმა პარტიამ მიმართა პრესის საშუალებას ინგლისში საარჩევნო უფლების დასაცველად, პრესა მეტად აბუჩად იყო აგდებული.

ბ. თეგლათელი

(შემდეგი იქნება).

საკვაჭრო სახლი ი. გოკიელის შვილების საკვაჭრო სახლი

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას—ვინაიდან საზღვარგარეთისა და რუსეთის პირველ ხარისხოვან მწარმოებლებთან შეღავათიანი პირობებით არის შეკრული, შესაძლებლათ ხანგრძლივ ... დასწიოს ფასი

საწერ და კანცელარიის საჭირო ნივთებზე.

ახალი პრეისკურანტები კანცელარიებს მუქთად დაურიგდება. მ.—1—4

? დავით ქეგაძე ?

მ—5—4.

მკითხველების საყურადღებოთ

საკვაჭროში ძმ. ფ. და ლ. ფილიპოვების საკვაჭროში

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაიანსის, შუშეულის ნივთები, ყოველგვარი ლამპები, ემალიანი ჭურჭლები, სამზარეულოს ფაჩები და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და პირ-საბანები და სხვა.

დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების

პარტიით მყიდველთა საყურადღებოთ აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები, **ფასები შესამჩნევად დაკლებულია.** მ—5—4

უცხოეთი.

(გაზეთებიდან)

მუშათა დაზღვევა ინგლისში. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, ინგლისში ამ ჟამთ ძალაში შედის კანონი მუშათა დაზღვევის შესახებ. ამ კანონმა ერთობ მიიპყრო ინგლისის საზოგადოების ყურადღება. აი ამ კანონის შინაარსი: დაქირავებული მუშა, რომელიც წლიურათ იღებს არა უმეტეს 1600 მანეთისა, უნდა დაზღვეულ იქნას. ამათ რიცხვში შედიან ხელზე მოსამსახურენიც, როგორც ქალები, ისე კაცები. დაზღვეული ვალდებულია ყოველ კვირაში დამზღვევ კასაში შეიტანოს ოთხი ჰენსი, დამქირავებელს შეაქვს სამი ჰენსი, ხოლო სახელმწიფო—ორი. ავადმყოფობის დროს დაზღვეულს უფასოთ უექიმებენ. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფობა სამ დღეს გაგრძელდა, 26 კვირის განმავლობაში სნეულს კვირაში ათი შილინგი ეძლევა დამზღვევ კასისაგან.

ამ კანონ-პროექტმა მთელი ინგლისი აალაპარაკა; როგორც ირკვევა, თითქმის ყველა კლასები უმაყოფილოა. მუშებს უნდოდათ, რომ მათ დასაზღვევი ფული სრულებით არ გაეკეთებინათ, თავის წილ არც დამქირავებელთ უნდათ მუშების დასაზღვევი ფულების გადახდა; ხელზე ე მოსამსახურეთა დამქირავებელნიც, რასაკვირველია, ვერ იქნებიან კანონით კმაყოფილნი.

დაბა-სოფელი.

ს. აკეთი. (გურია) აკეთის „საბლაგოჩინოს“ შეკუნილი აქვს სამკითხველოსთვის საკმაო წიგნები. თითქმის წელიწადზე მეტია, რაც მდვდლებს გადაწყვეტილათ კახსნან სამკითხველო ს. აკეთში. მათ მართლაც შეუკეთნიათ ბლომათ წიგნები, მარა შესაფერი ადგილი კი ვერ გამოუნახავთ. სამკითხველო მოუთავსებიათ, ჭოი საკვირველებავ, ერთ-ერთ ეკლესიაში მიმდინარე წლის აპრილის 24. „საბლაგოჩინო“ კრებამ აირჩია თავის შორის, სამკითხველოს გამგეებათ სამი კაცი, რომლებსაც კრების გადწყვეტილებით დაეკისრათ სამკითხველოსთვის საშვალო ადგილის მოძებნა და მისი რიგიანათ მოწესრიგება, მაგრამ, სამწუხაროთ, გადწყვეტილება, დღემდი გადწყვეტილებათვე დარჩა და სამკითხველო ისევ ეკლესიის ერთ-ერთ კუთხეშია მიგდებული. რა თქმა უნდა ამის გამო სამკითხველოთი დღემდე არავის უსარგებლია. ერთი შეგვეკითხოთ სულიერ მამებს: განა შეიძლება, ეკლესიაში კაცმა კიდევაც იდგოს და მასთან სამკითხველოთიც ისარგებლოს? ჰასუხი აუკარა, რადგანაც სამკითხველოს თავისი დანიშნულება აქვს და ეკლესიას კი თავისი. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ მღვდლებს აზრათ აქვთ ეს სამკითხველო ეკლესიას მოაშორონ და გადაიტანონ იგი ს. აცანაში, რადგანაც იქ ასეთი კულტურული დაწესებულება არ არსებობს. ზოგი კი იმ აზრისაა, რომ ეს სამკითხველო ისევ აკეთში დარჩეს. ეს იწვევს განხეთქილებას და სამკითხველო ისევ ეკლესიაში რჩება. სწორეთ ამაზე ითქმის ქართული ანდაზა „ავმა ძალმა არც თვითონ სჭამა და არც სხვას აჭამა“. მოამწყვდიეს სამკითხველო ეკლესიაში, მშვიდობით და გამარჯვებით, მეტი თუ რამე არის საჭირო, არ ფიქრობენ. საჭირო კი შემდეგია: აარჩიონ ისეთი სოფელი, სადაც კითხვის მოთხოვნილება არის ჩასახული, მარა სამკითხველო კი არ დაუარსებიათ ჯერ, გამოინახონ ამ სოფლის შეგნებული ელემენტების დახმარებით შესაფერი ბინა და გადაიტანონ ეკლესიიდან მზა სამკითხველო; ეს—მით უმეტეს, რომ ს. აკეთში უკვე არსებობს საზოგადოების ერთი სამკითხველო და მეორეს იგი ჯერ-ჯერობით არ საჭიროებს.

იათაისპირელი.

მუშათა შორის.

ორიოდე სიტყვა საამხანაგო პარკის ფარდულის შესახებ. დღეს ყველამ ნათლათ დაინახა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ქონია მეაბრეშუმეებისათვის ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას, რომელიც არსებობს ს. კუხში. (ქუთ. მაზ.)

ამ ამხანაგობის საძირკველის ჩამურული იყო განსვენებული უანგარო მუშაკი ნესტორ წერეთელი. ამ ამხანაგობაში შედის 2000-ზე მეტი წევრი; მისი დანიშნულებაა მიაწოდოს მეაბრეშუმეებს აბრეშუმის სადი თესლი და ჰარკი კარგ ფასებში გაუსადოს. სანამ განსვენებული ნესტორ წერეთელი უდგა სათავეში ამ ამხანაგობას, მანამ ის კიდეც ასრულებდა ამ დანიშნულებას დირსეულათ, მაგრამ დღეს ეს ამხანაგობა იმ ინტელიგენტ ხელმძღვანელებმა დასამარეს, რომელნიც მის გარშემო ტრიალებენ.

წრეგანდელი ჰარკის ბაზარი, გლეხკაცებო, —გაკვეთილია, რომელმაც ჭკუა უნდა გვასწავლოს. წრეგანდელი ჰარკის ფასი 10—12 მანეთი, ეს ჩარჩ-გაჭრების დღესასწაულია. ხოლო მეაბრეშუმე გლეხკაცობა კი ბირში ჩადა გამოვლებული დგას. ჰარკის მოსავალი, ეს წლიური ერთ-ერთი მთავარი შემოსავალია ქუთ. გუბერ. გლეხკაცობისათვის; და თუ შემდეგ წლებშიაც ამნაირათვე დარჩა მოუწესრიგებელი ჰარკის გასაღების საქმე, როგორც ეს წელს იყო, მაშინ ჩვენებური გლეხკაცობა ისევაც ძალზე გადატანებული, ნიშითიერათ სულერთიანათ დაეცემა. ამიტომ, ვამბობთ, საჭიროა მეტი სიფრთხილე, რომ წრეგანდელმა მაგალითმა ჭკუა გვასწავლოს და უნაყოფოთ არ ჩაგვაროს. უნდა შევიგნოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციას, საა მხანაგო ფარდულს, რომელიც უკვე გვაქვს ს. კუხში და რომელიც ზოგ ინტელიგენტთა წვალობით სამარის კარამდის არის მიდგეული. დღევანდელმა გამგე დირექტორმა სად აბრეშუმის თესლის მაკიერ „ჰასხალიდის“ სახელით უალბი თესლი მიაწოდა ხალხს.

ნუ თუ ამგვარ ადამიანს არ უნდა გავუწიოთ ანგარიში, არ უნდა მოვთხოვოთ ჰასუხი?!

თითქოს მისი კერძო საკუთრება იყოს, ისე თარეშობს ამ სახალხო დაწესებულებაში; არც საზოგადო კრებას იწვევს, რომ ამით საშვალება მიეცეს ხალხს, გამოარკვიოს ამხანაგობის მდგომარეობა. აი, მაგალითად წასულ მარტში ვალდებული იყო კრება მოეწვია, მაგრამ ეს მან არ ინება. ამისთვის უველაზე მეტი უურადღება სარეგიზიო კომისიას უნდა მიექცია, რომელსაც სრული უფლება აქვს მოიწვიოს კრება; მაგრამ ეს დალოცვილებიც რა უურს არ იბარტყუნებენ?!

საჭიროა თვით ხალხმა ადამადგომს ხმა და ადგგინოს თავისი დვიძი შვილი, თავისი ამხანაგობა, და განდევნოს იქიდან არასასურველი და არასაჭირო ელემენტები, რომლებიც მატლივით გულს უდრდნიან ამ ამხანაგობას, რომელთაც მხოლოთ თავისი კერძო ინტერესები ახსოვთ და საზოგადო მოვალეობა კი მუდამ ივიწყებენ.

საჭიროა ენერგიული ზომები მიიღოს თვითონ ხალხმა: ჩაუენოს საქმეში თავისივე წრიდან არჩეული ენერგიული და ჰატიოსანი, მცოდნე პირები, რომლებმაც ეოველივე ღონე უნდა იღონონ, რომ ეს ამხანაგობა კვლავ ადგეს და კვლავ მკვიდრ ნიადაგზე დადგეს, რომ ხალხს შემდეგში შესაფერი სამსახური გაუწიოს.

მუხისძირელი სიმონი.

— **ქუთაისის ნოქრები.** საშინელ ცუდ მდგომარეობაში არიან დღეს ქუთაისის ნოქრები: ის გაუმჯობესება რაც მათ განმათავისუფლებელი მოძრაობის, დროს მოიპოვეს, დღეს ქონიერთ შემოადგნათ ხელში. „დღიურ სიცხადით გულდაჩაგრულნი“, ისინი სასოებით შესცქერიან „ზეცას“ და იქიდან ელიან განმაკურნებელ „მანანას“. მოქანცულ-მოწყვეტილი „თავჩადუნულნი“ შეეურებენ ვითომდა განათებულ, კულტურის მანტიაში გამოხვეულ ხაზეინებს და ელიან მათგან წყალობას, გონიათ, რომ ეს „განათლებულნი“ „თავის ნებითაც“ კი დაუთმობენ მას, რის დათმობაც დღევანდელ პირობებში შესაძლოა. შეეურებენ მათ და თვითონ კი ჩვენი ნოქრები, თუ მათ უმრავლესობას მივიდებთ მხედველობაში, ახლა ხომ „ძველებურათ-ჩვენებურათ“ ქეიფის მეტს არას დარდობენ, ჰეტრეს აძრობენ ტეასვს თუ ჰაგდეს. ამ უმრავლესობის შეგნება არ გასცილებია რესტორან „ბორჯომის“ მესერს, სადაც ისინი კვირაობით ასვენებენ და აგრილებენ „ბეუინულ“ ნერვებს. ორშაბათობით კი გაიძახიან ეს ვაუბატონები: ჩვენ მდგომარეობაში არავინ არ შედის, მოთავეები არ გვეაგსო და სხვა, დასხვა, და ის კი ავიწყდებათ, რომ მენაეების და ქარიშხლის არ იყოს, ხელი გაანძრიონ... მაგრამ მათ ეოველივე ოცნებით უნდათ გაახორციელონ... არა ნაკლებ ცუდ მდგომარეობაში არიან მაღაზიების კასირები: ისინი რაღაც ერთი თუმნისთვის იძულებულნი არიან დამემდი ისუნთქონ დახშული ჭაერით, რასაც მათი აკებულება ვერ იტანს და სულ მაღე სნეულდებიან. მაგრამ რომელი მათგანი ფიქრობს ამაზე, ან რას ცდილობს, რა ზომებს ხმარობს, რომ პირობები გაიუმჯობესოს?

ნოქარი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ქვემოთ მოხსენებულ პირთ, რომელთაც ფულით და ნივთებით დახმარება აღმოუჩინეს მუზიანის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ამ წლის პირველ იანვრიდან: გიორგი ნიკოლაიშვილმა—2 მ. მარკოზ სანებლიძემ—2 მ. ღვ. გიორგი კუჭუხიძემ—2 მ. და პარმენ გერსამიამ—გრაფინაკა, სტაქანი, ლამბაქი და ჩაფი—2 მანეთათ ღირებული და ფულათ 1 მანეთი. მღვდელმა პლატონ ჯინჭველაშვილმა, სპირიდონ ცქიტიშვილმა, ალექსი ბაბუნაშვილმა, კოლია მეძმარიაშვილმა, გიგო არშიძემ, ილია ზუმბულიძემ, სოლომონ ინაკავაძემ, ერმალო მუმლაძემ, გრიგოლ ბერაძემ, მღვ. რაჟდენ სანებლიძემ, მღვ. სპირიდონ წიქრიძემ, პროკოფი კანდელაკმა და ერისტო ჯაოხაძემ თითო მანეთი. სულ ნაღდი ფულია 20 მანეთი. ხარჯებია: 1) მეთვალყურეს—10 მანეთი 80 კაპ. 2) სამკითხველოსთვის ადგილის ქირაობის და ბინის აშენების შესახებ ხარჯი 10 მ. 23 კაპ. 3) იაკობ გოგებაშვილის დასაფლავების დღეს დეპეშაში—1 მანეთი, 4) გაზეთი „ცხოვრება“—1 მ. 30 კაპ. და 5) წვრილი ხარჯები 80 კაპ.

მუხიანის ბიბლიოთეკის გამგეობა.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. სულაქველიძე.

მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

18 აპრილიდან 1912 წ.

(საათი აღნიშნულია ქუთაისის დროით).

ქუთაისიდან გადის:

თფილისისაკენ: ჩქარი № 31, 1 ს. 34 წ. ღამით, სახალხო № 33, 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 35 1 ს. 50 წ. დღით.

ბათომისაკენ: სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამით, ჩქარი № 33 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღამ.

ფოთისაკენ: სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამ., სახალხო № 33 4 ს. 40 წ. ღამ., სახ. № 25 5 ს. 14 წ. საღ., ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღ.

ზოკრაკინისაკენ: სახ. № 29 4 ს. 45 საღ.

ტყიბულისაკენ: სახალხო № 42 4 ს. 5 წ. საღ., სახალხო № 104 7 ს. 50 წ. დილ.

ქუთაისს მოდის:

თფილისიდან: სახალ. № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახალხო № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 38 7 ს. 16 წ. საღ.

ბათომიდან: სახალხო № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. ღღით.

ფოთიდან: სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. ღღ., სახალ. № 26 9 ს. 55 წ. დილ.

ზოკრაკინიდან: სახალ. № 27 9 ს. 26 წ. დილ.

ტყიბულიდან: სახალ. № 41 11 ს. 9 წ. დილ., სახალ. № 103 7 ს. 30 წ. საღამ.

სახალხო გაგეთი

უოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,

რომელიც „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი“ დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № **შაურად. დამატებიანი 7 კაპ.**

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარეთ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისს გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი“ მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილოგით ხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., **სარაჯიშვილის** სახლი, შესავალი ეზოდან).

2) ქ. ბ. წ.-ქ. ს. **მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**

3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:

წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას **საკომისიოდ მიეცემა** 5%.

მდინარე ფაზისის პირათ, თეთრ ხიდთან

გაიხსნა საზაფხულოთ

მიტროფანე ლალიძის და ამხ-ის

ხელოვნური სამკურნალო და ხილეულობის წყლის

წვრილათ საკვაჭრო

სადაც ხილეულ-მადნეულ წყალს გარდა იყიდება საუკეთესო ქარხნის **ლუდი, რძე, შოკოლადი, ნაყინი და სხვა.** მ—1—4.